

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №14

სექტორის განვითარების გენერალური გეგმის

შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №14

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი 220 საწოლიანი (არსებული 100 საწოლის ჩათვლით) მაღალტექნოლოგიური მრავალპროფილური საავადმყოფო ქ. ქუთაისში, აკადემიკოს ზ.ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის ბაზაზე;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის საავადმყოფო დაბა წყალტუბოში.

გადასაცემი ობიექტები:

- შპს "აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 % წილი;
- შპს "წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 % წილი
- შპს "წყალტუბოს სამშობიარო სახლი"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 % წილი

კონკურსის პირობები:

- დასავლეთ საქართველოს დედათა და ბავშვთა ეროვნული ცენტრის შენობების დემონტაჟი და 120 ახალი მაღალტექნოლოგიური საწოლის შექმნა ქ. ქუთაისში, აკადემიკოს ზ.ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის ბაზაზე;
- დაბა წყალტუბოში 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის საავადმყოფოს აშენება.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

- საბანკო გარანტიის წარმოდგენა მაქსიმალური თანხით;
- საბანკო გარანტიის თანაბარი ოდენობის წარმოდგენის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პროექტის დასრულების ვადებს.

შერჩევაში მონაწილეობისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი 2 025 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია (მოქმედების ვადა 3 თვე), აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საბუთების წარმოდგენა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702, 17 აგვისტოს 17 სთ.-მდე.

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტებში. კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801, 17 აგვისტოს, 17 სთ. და 30 წთ-ზე. შემოთავაზების გაუმჯობესება არ მიიღება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01